პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 დეკემბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 243 (9654) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. ტურნირის პირველ დღეს გამართულ შეხვედრაში („ვილნიუსის „სტატიბასთან“) თავის გუნდელებს ყველაზე ბევრი ქულა (32) დინამოელმა გელა დარსაძემ შეიტანა. ამ ფოტოზე აღბეჭდილია მომენტი, როცა მეტოქის ფარს უტევს გელა დარსაძე. (ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-3 გვ.).

## წოდებების მინიჭება

**საქართველოს** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიანიჭა რეგბიში — **ალექსანდრე ალავიძესა და ოლეგ ლიპარტელიანს** (ორივე — ქუთაისი, პროფკავშირები).

• • •

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა „ტყვიის სროლაში საკავშირო კატეგორიის მსაჯის“ წოდება მიანიჭა **ვიქტორ აუმიაკოვს** (თბილისი, „დინამო“).

**ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი**

## 27 იანვრიდან—წყალტუბოში

**1988 წლის** 27 იანვარს წყალტუბოში გაიხსნება პრეტენდენტ ქალთა ორწრიანი ტურნირი. მატჩში გამარჯვებული შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს. შეგახსენებთ, პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობას მიიღებს თანამედროვეობის რვა უძლიერესი მოჭადრაკე, რომელთაგან ხუთი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია. აი, ისინიც, ერთადერთი საგზურის მაძიებელნი — მსოფლიოს ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, საერთაშორისო დიდოსტატები ელენა ახმილოვსკაია, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია (ყველა — თბილისი), ირინა ლევიტინა (ლენინგრადი), მარტა ლიტინსკაია (ლვოვი) და აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი).

შეიქმნა პრეტენდენტთა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვიქტორია სირაძე, მოადგილეა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს ქალაქკომის პირველი მდივანი გივი აბზიანიძე.

**22 დეკემბერს, 11 საათზე საქართველოს სპორტსახკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდება რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც განიხილავს საკითხს „ასსრ-ის, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეთა ამოცანები საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ — რესპუბლიკების სპორტული ხელმძღვანელების მოსკოვის საკავშირო სემინარის შუქზე“. რეგისტრაცია დაიწყება 10 საათზე.**



საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა, ქუთაისელმა მირზა ხურციძემ პირველივე ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით მოიგო. ცოტაც და, მსაჯი „გააშველებს“ მეტოქეებს და უნგრელი ნ. ოლახი გამარჯვებას მიულოცავს ქართველ მოკრივეს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

იუნიორ მოკრივეთა VI საერთაშორისო ტურნირი

## დარბაზი გამოცოცხლდა

**16 დეკემბერს,** საღამოს, ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონიალის შემდეგ განახლდა იუნიორ მოკრივეთა VI საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზებზე. როგორც გაუწყეთ, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრებს დილით გამართულ ორთაბრძოლებში ხელი მოეცარათ: რინგზე ოთხ ქართველ სპორტსმენს უხმეს და ოთხივე დამარცხდა. საღამოს სარბიელზე გამოვიდა საქართველოს გუნდის კიდევ სამი წარმომადგენელი, რომელთაგან მხოლოდ 57 კგ წონითს კატეგორიაში მოასპარეზე ფოთელმა გოჩა აბსარიძემ შეძლო საკავშირო ნაკრების წევრის ე. აბილოვის დამარცხება. შეიძლება ითქვას, რომ გოჩამ „შური იძია“ — იმ დღეს მისმა ბიძაშვილმა მამუკა აბსარი-

იხ. მე-4 გვ.



გარი კასპაროვი — ანატოლი კარპოვის მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის



## ოცდამესამე პარტია

**ბოლოსწინა** პარტიაში კარპოვი უკანასკნელად თამაშობდა თეთრი ფიგურებით და, ბუნებრივია, მსოფლიოს ექსჩემპიონი სწორედ ამ შეხვედრაში შეეცდებოდა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებას. ამ მატჩში უკვე მეათედ გათამაშდა გრიუნფელდის დაცვა. მიტელშპილში ბრძოლა გამძაფრდა. მცირე პოზიციური უპირატესობა კარპოვს ჰქონდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა შეძლო პოზიციის გათანაბრება და თავად წამოიწყო შეტევა მეფის ფრთაზე. კარპოვი განაგრძობდა საუკეთესო გაგრძელების ძებნას. მან შეძლო კვლავ დაუფლებოდა ინიციატივას. საბოლოოდ პარტია გადაიდო, სადაც სპეციალისტების აზრით, მსოფლიოს ექსჩემპიონს მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდა.

გადადებული პარტიის დამთავრებისას დაიწყო რთული მანევრული ბრძოლა. 50-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა არაზუსტად ითამაშა (ე7f3) და მხედველობიდან გამორჩა მეტოქის ტაქტიკური სვლა — 53. კh6, რის შემდეგაც ფიგურა დაკარგა და მალე თავი დამარცხებულად სცნო.

**ა. კარპოვი — გ. კასპაროვი**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. c4 c5 2. მf3 მf6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. d4 მ:c3 6. bc g6 7. e3 კg7 8. კd3 0-0 9. 0-0 ლc7 10. ეb1 b6 11. ლe2 ეd8 12. კe4 კa6 13. c4 მc6 14. d5 f5 15. კd3 e5 16. e4 მd4 17. მ:d4 cd 18. კg5 ეf8 19. ეfc1 ეac8 20. კd2 ეf7 21. a4 fe 22. ლ:e4 ეcf8 23. f3 კc8 24. a5 კf5 25. ლe2 ეe8 26. კe4 კf8 27. ლd3 კc5 28. ეa1 ლd7 29. ეe1 ლc8 30. მფh1 ეc7 31. ეab1 მფg7 32. ეec1 კ:e4 33. fe ეf7 34. ლg3 ba 35. კ:a5 ეf4 36. ეe1 ლa6 37. კd2 ეf7 38. ლd3 ეef8 39. h3 ეf2 40. ეa1 ლf6 41. ეg1 (ჩაწერილი სვლა) h5 42. ეa5 ლe7 43. ეb1 h4 44. ეa6 ე8f7 45. ეc6 ლf8 46. ეg1 კe7 47. ეe6 მფh7 48. კe1 ეf1 49. კd2 კc5 50. ეc6 ე7f3 51. gf ე:f3 52. ეc7+ მფh8 53. კh6 ე:d3 54. კ:f8 ე:h3+ 55. მფg2 ეg3+ 56. მფh2 ე:g1 57. კ:c5d3.

შავები დანებდნენ.

ამრიგად, მატჩში კვლავ მსოფლიოს ექსჩემპიონი დაწინაურდა — 12:11.

ბოლო, 24-ე პარტიაში კარპოვს ყაიმიც ჰყოფნის ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად. კასპაროვს კი ამ ტიტულის შესანარჩუნებლად მხოლოდ მოგება აძლევს ხელს.

## გუშინ...

**სევილია, 18 დეკემბერი. (საქდესი).** ესპანეთის ამ ქალაქში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო, 24-ე პარტია გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის. თეთრი ფიგურებით თამაშობს მსოფლიო ჩემპიონი. გაზეთის დასაბეჭდად გამზადებამდე მეტოქეებს ათი სვლა ჰქონდათ გაკეთებული.

## საუკეთესო მძლეოსნები

**ჩეხოსლოვაკიის** ქალაქ ოსტრავაში გაიმართა XX საერთაშორისო რეფერენდუმი, რომელსაც ევროპის 1987 წლის საუკეთესო მძლეოსნები უნდა დაესახელებინა.

ხმების უმრავლესობით ეს სახელი ქალთა შორის გდრ-ის წარმომადგენელს მსოფლიო ჩემპიონს 100 და 200 მეტრზე რბენაში ზილკე გლადიშ-მიულერს მიეკუთვნა. ვაჟებში ყველას 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში მსოფლიო ჩემპიონმა, იტალიელმა ფრანჩესკო პანეტამ აჯობა.

ქალთა რეფერენდუმში მეორე ადგილი 1500 და 3000 მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონმა, ზაპოროჟიელმა ტატიანა სამოლენკომ დაიკავა. ათეულში მოხვდა კიდევ ერთი საბჭოთა მძლეოსანი, 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონი ოლგა ბრიზგინა.

### შეხვედრა ფილმის გმირებთან

ყველამ კარგად იცის, რომ ახალ ქართულ ფილმში „ხარება და გოგია“, რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ მთავარ როლებში საქვეყნოდ ცნობილი ქართველი სპორტსმენები ლევან თედიაშვილი, ომარ ფხაკაძე, მიხეილ სალაძე და ავთანდილ მაისურაძე გადაიღო. ამ დღეებში სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოსა და კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის თაოსნობით სპორტის სასახლეში შეხვედრა მოუწყეს ფილმის შემოქმედებით კოლექტივს, სურათზეც სწორედ ამ შეხვედრის მომენტია ასახული.



**პარიზი.** ფეხბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში მოსკოვის ცსკა-ს მეტოქე ფრანგული კლუბი „ფრეჟიუსი“ იქნება. პირველი მატჩი გაიმართება 13 იანვარს მოსკოვში, განმეორებითი 20 იანვარს.

**კორალ-სპრინგსი (აშშ).** ფლორიდის შტატის ამ ქალაქში მიმდინარეობს 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელ გოგონათა კონტინენტური თასის გათამაშება. მეოთხედფინალში საბჭოთა ნაკრებმა ჰოლანდიის გუნდი დაამარცხა — 3:0 და ახლა ბრაზილიელებს შეხვდება, რომლებმაც თავის მხრივ აშშ-ს წარმომადგენლებს აჯობეს — 2:1. მეორე ნახევარფინალურ წყვილს ბელგიისა და იტალიის გუნდები შეადგენენ.

**ჩემპიონატი - მიმოხილვა**

**ლელრეი-ბიჩი (აშშ).** აქ 18 წლამდე ასაკის ჩოგბურთელ ვაჟთა გუნდები თამაშობენ. საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა იტალიის კოლექტივი (3:0) და ნახევარფინალში საფრანგეთის ჩოგბურთელებთან იასპარეზებს.

# ზოგი რამ ათლეტურ ტანვარჯიშზე

**პრესაში უკვე რამდენიმეჯერ გამოჩნდა ცნობა ათლეტურ ტანვარჯიშში (ათლეტიზმში)გამართული ტურნირების შესახებ. საკავშირო ღია ათლეტურ ტურნირებში საქართველოს წარმომადგენელთა წარმატებებზეც ვიუწყებოდით. ახლახან კი თბილისმა, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში, ათლეტურ ტანვარჯიშში საქართველოს ღია პირველობას უმასპინძლა.**

**რედაქციაში ბევრი წერილი მოდის, მკითხველები გვთხოვენ დაწვრილებით განვუმარტოთ ამ სახეობის არსი, გავაცნოთ მისი განვითარების ისტორია.**

**ვესაუბრებით საქართველოს რესპუბლიკური ათლეტური კლუბის „ამირანის" მთავარ მწვრთნელს, სპორტის ოსტატს, ჟურნალისტ ზაზა ჯაფარიძეს:**

— ათლეტური ტანვარჯიში საერთაშორისო ტერმინის — კულტურიზმის ჩვეულებრივი დასახელებაა. გერმანულად მას „კრაფტშპორტი" (ძალისმიერი სპორტი), ამერიკელების გავლენით, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში კი „ბოდი ბილდინგი" (სხეულის შენება) ჰქვია.

ათლეტური ტანვარჯიში ორ სახეობად იყოფა: პოზირებად (ქორეოსინქრონი) — დაკუნთული სხეულის მხატვრული დემონსტრირება გრაციოზული ილეთებითა და მუსიკის თანხლებით — და ძალისმიერ სამჭიდად (კლასიკური ბუქნი, კლასიკური წოლჭიმი და კლასიკური ამოწევა).

ქორეოსინქრონში ათლეტის მიერ წარმოდგენილ სამ გამოსვლას (ექვსი აუცილებელი პოზა, მხატვრული პროგრამა, თავისუფალი პროგრამა) მსაჯთა კოლეგია ქულებით აფასებს. ამერიკის მთელ რიგ ტურნირებში ბოდბილდებს მაყურებლის ხმათა უმრავლესობით მიეკუთვნებათ საპრიზო ადგილები.

ძალისმიერ სამჭიდში ზემოთ მოხსენიებული სამი მოძრაობა ძალოსნურ მოძრაობათაგან განსხვავებული სპეციფიკით სრულდება. კლასიკური ბუქნისას ათლეტი კისრითა და მხრებით ჩამოხსნის შტანგას დგარებიდან, შტანგიანად ჩაბუქნავს მუხლის სახსრის 45 გრადუსიან კუთხემდე და დაუბრუნდება საწყის პოზიციას. კლასიკური წოლჭიმისას, ათლეტი ზურგით წვება ძელ-სკამზე, ორივე ხელით დგარებიდან მოხსნის შტანგას, დაუშვებს მას მკერდზე და აჭიმავს პირველ პოზიციამდე. კლასიკური ამოწევისას ათლეტი დასწვდება ფიცარნაგზე მდებარე შტანგას და ამოსწევს მას გამართულ მდგომარეობამდე. გამარჯვებულად ცნობენ მას, ვინც სამჭიდში ყველაზე მეტ ქულას დაიმსახურებს.

ძალოსნობა და ათლეტიზმი ანტიკური „გიმნასისის" განშტოებანი არიან. სსრ კავშირში ათლეტიზმის სპეციალისტთა უმრავლესობა (მაგრამ არა ყველა) ძალოსნობიდან არის მოსული და შემდეგ აქვთ მიღებული ათლეტური კვალიფიკაცია. მათ შორის განსხვავებაც ბევრია და მსგავსებაც. შესაძლებელია მომავალში ძალოსნობისა და ათლეტიზმის დიდმა განვითარებამ კვლავ მათი შეერთება გამოიწვიოს.

ამჟამად ათლეტიზმს ძალოსნობასთან ის უპირატესობა აქვს, რომ იგი რჩეულთა გვერდით სულიერად და ფიზიკურად სუსტებსაც ღებულობს და ხშირად რჩეულთა მიერ მიღწეულ სიმაღლეებსაც აპყრობინებს.

მიუხედავად ათლეტიზმის გამაჯანსაღებელი და ესთეტიკური ხასიათისა, თავის დროზე ათლეტიზმი ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიულ, მავნე გადმონაშთად იქნა მიჩნეული. გაზეთი „მუში" მას სტრიპტიზთან აიგივებდა. ამ ვაიკონცეფციას ასაბუთებდნენ იმითაც, თითქოს ათლეტიზმი მსურველთა დიდ რაოდენობას იზიდავს თავის რიგებში და ამით კონკურენციას უწევს სპორტის ოლიმპიურ სახეობებს, ხელს უშლის მათ განვითარებას. მაგრამ სსრ კავშირის თითქმის ყველა რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც, ათლეტური კოლექტივები მაინც ვითარდებოდნენ. ყველაზე მდიდარი ტრადიციები ლიტვასა და ესტონეთს აქვთ. მათ ათლეტურ წრეებს თავშეფარვის მეტი საშუალება ჰქონდათ ეროვნული სპორტის სახეობის „ჩისკიდის" ფრთის ქვეშ. „ჩისკიდი" ბალტიისპირეთის ქვეყნების სოფელ-ქალაქებში იმართებოდა, სადაც ათლეტები მაყურებლებს აოცებდნენ თავიანთი გოლიათური აგებულებითა და დიდი ძალით (სიმძიმეების აწევა, ჯაჭვის გაწყვეტა და ა. შ.).

ქართული ათლეტიზმის ფუძემდებლებად ალექსანდრე ჩიკვაიძე და კოტე ზაუტაშვილი უნდა მივიჩნიოთ. აგრეთვე დიდი წვლილი მიუძღვის ამ სახეობის ქართული ტრადიციის შექმნაში ცნობილ მხატვარ-მულტიპლიკატორს ავენირ ხუსკივაძეს, რომელმაც საკუთარ სარდაფში დარბაზი მოაწყო და უკვე 25-მდე წელიწადია მსურველებს სავარჯიშოდ ეპატიჟება.

საბჭოთა კავშირში ათლეტური ტანვარჯიშის აღორძინებას და მის ოფიციალურ აღიარებას ლიტვის სსრ ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, პროფესორ რომას კალინაუსკასს უნდა ვუმადლოდეთ. მისი თაოსნობით 1982 წლის 3 აპრილს ათლეტიზმის მიმდევართა და სპეციალისტთა მოზრდილი ჯგუფი (მათ შორის მეც ვიყავი) სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მისაღებში შევიკრიბეთ. მაშინ კატეგორიულად დავსვით საკითხი ათლეტიზმის აღიარებისა და განვითარების შესახებ. ჯერ თავმჯდომარის მისაღებში გაიმართა ცხარე კამათი, რაც შემდეგ სააქტო დარბაზში გაგრძელდა.

ამ, ასე ვთქვათ, ათლეტურმა აჯანყებამ, რომელსაც მოსკოვის მილიციაც კი გამოეხმაურა, გაიმარჯვა. ერთი კვირის შემდეგ სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციასთან არსებული ათლეტური ტანვარჯიშის კომისიის დროებითი თავმჯდომარე გენადი ბალდინი თბილისში ჩამოვიდა. მას ხელთ ჰქონდა სსრკ სპორტკომიტეტის 1982 წლის 8 აპრილის დადგენილება, რომელიც რესპუბლიკათა სპორტკომიტეტებს ავალებდა ძალოსნობის ფედერაციებთან შეექმნათ სპეციალური კომისიები.

წლეულს 14-17 აგვისტოს მოსკოვის ოლქის ქალაქ კუბინკაში გაიმართა პლენუმი და შეიქმნა სსრ კავშირის ათლეტური ტანვარჯიშის ფედერაცია. წლეულსვე სექტემბერში საქართველოშიც შეიქმნა რესპუბლიკის ათლეტური ტანვარჯიშის ფედერაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახკინოს თავმჯდომარე აკაკი დვალიშვილი.

...ათლეტიზმში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორია დაახლოებით ოლიმპიური მოძრაობის ასაკისაა,



შოთა ბეჟაშვილი.

მაგრამ ბოდი-ბილდინგის ახლანდელი პროგრამის დაფუძნებიდან დღემდე 41 მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. 1984 წლის 24-28 ოქტომბერს ლას-ვეგასში (აშშ, ნევადა) გამართულ კულტურიზმის საერთაშორისო კონგრესზე, რომელსაც 38-ე მსოფლიო ჩემპიონატი მოჰყვა, თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყანა გახდა საერთაშორისო ფედერაცია იფბბ-ს (ინტერნეიშენალ ფედერეიშენ ბოდი-ბილდინგ) წევრი. იმედია, უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყანაც მათ რიცხვს მიემატება.

შარშანწინ ჩვენ ნომერ პირველ საკითხად მიგვაჩნდა „ამირანის" სიღნაღის ფილიალის დაარსება. ახლა, როცა სიღნაღის ფილიალის საკითხი დადებითად გადაწყდა, დღის წესრიგში დადგა თელავის ფილიალის გახსნის საკითხი. ადრე, თელაველი და სიღნაღელი ათლეტები დათო ბეჟანიშვილისა და შოთა ბეჟაშვილის ხელმძღვანელობით კვირაში ორჯერ ჩამოდიოდნენ თბილისში და ჩვენთან ერთად ვარჯიშობდნენ. ეს საშუალებას გვაძლევდა თვალი გვედევნებინა მათი ტონაჟის ტრაექტორიისათვის, გაგვეწია სამედიცინო და სამწვრთნელო-მეთოდური დახმარება.

სიღნაღის ფილიალის შექმნამ, როგორც ველოდით, კარგი შედეგი მოგვცა. შოთა ბეჟაშვილის შარშანდელ წარმატებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ახლახან ჩატარებულ საქართველოს ღია პირველობაზე სიღნაღელებმა დათო მერაბოვმა და გია ალიაშვილმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. თუ რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ არ შეგვიშალა ხელი, 1988 წელს სსრკ თასის პირველ გათამაშებაში დათო მერაბოვი საპრიზო ადგილისათვის იბრძოლებს. დარწმუნებული ვართ ასევე კარგ შედეგს გამოიღებს თელავის რაიფილიალის დაარსება დათო ბეჟანიშვილის ხელმძღვანელობით. ამ საკითხში დახმარებას ჩვენ უახლოეს მომავალში ვთხოვთ თელავის რაიონის ხელმძღვანელობას. მანამდე კი, დათო ბეჟანიშვილს, ამ უაღრესად მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ენთუზიასტს, კვლავ ჩვენთან უხდება ჯგუფთან ერთად კვირაში ორჯერ ჩამოსვლა, რათა, როცა „ის დრო მავას", საქმეს მზად შეხვდნენ.

1988 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ტიუმენში პირველად თამაშდება სსრ კავშირის თასი, სადაც ჩვენი გუნდიც მიიღებს მონაწილეობას. ჩვენ ვემზადებით ამ შეჯიბრებისთვის და ამიტომ ახლა ათლეტები საუკეთესო ფორმაში ვერ არიან. საქართველოს ღია პირველობაზე მთელი ჩვენი ძალებისათვის რომ გვეხმო, მაშინ იძულებული ვიქნებოდით ცვლილებები შეგვეტანა თასისთვის მზადების გეგმაში, ან კულმინაციურ სიმაღლემდე ასული სპორტული ფორმა თებერვლამდე შეგვენარჩუნებინა, ამ ორი ვარიანტიდან არც ერთი არ მოგვიტანდა სასურველ შედეგს არა მარტო სპორტული თვალსაზრისით, არამედ ათლეტთა ჯანმრთელობის მხრივაც. სწორედ ამიტომაც ჩვენმა სპორტსმენებმა, შოთა ბეჟაშვილმა და ვლადიმერ ბედიაშვილმა შეგნებულად არ იბრძოლეს მაღალი შედეგებისთვის, თუმცა შოთა ბეჟაშვილმა მაინც პირველი ადგილი დაიკავა, თანაც დიდი უპირატესობით. მან სამივე მოძრაობაში პირველსავე ცდაზე აჩვენა სასურველი შედეგი.

საქართველოს ღია ჩემპიონატში მონაწილეობდნენ მოსკოვის, სევეროდვინსკის, ჩელიაბინსკის, ვორკუტის, ბლაგოვეშჩენსკის, კარაგანოვოს, დუშანბეს, თბილისის, სიღნაღისა და თელავის ათლეტები. პირველ დღეს ორი რეკორდი დამყარდა: კარაგანოველმა ალექსანდრე ნოვოვმა (67,5 კგ წონითი კატეგორია) ბუქნში 220 კგ დაძლია და 2,5 კგ-ით გააუმჯობესა საკავშირო მიღწევა, ხოლო ვორკუტელმა ანდრეი მაკლაკოვმა ასევე ბუქნში 205 კგ დაიმორჩილა და ძველი მიღწევა 5 კგ-ით გააუმჯობესა. მეორე დღეს კარაგანოველმა სერგეი მედვედევმა ბუქნში 312 კგ დაძლია, რაც ასევე 5 კგ-ით აღემატება ძველ მიღწევას.

## ფიზკულტურულ კოლექტივებში

## როცა დირექტორი ზრუნავს

**მომინანქრებული** სადენის ქარხანა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოა, რომლის პროდუქცია კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. წლების განმავლობაში ქარხანა მოწინავე საწარმოთა რიგებში დგას, თითქმის ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს წარმოებისა და რეალიზაციის გეგმებს.

ქარხნის შრომითი კოლექტივის ასეთი წარმატებები უშუალოდაა დაკავშირებული მის მაღალ შრომისუნარიანობასთან, რასაც გარკვეულწილად ფიზკულტურასა და სპორტთან მეგობრობაც ამაღლებს.

ამ საწარმოს სპორტული კოლექტივი ოლქში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. აქ გახსნილია რამდენიმე სპორტული სექცია და ჯგუფები. ქარხნის ფიზკულტურელები ხშირად მონაწილეობენ საოლქო სპარტაკიადებში, რომლებშიც სპორტის სამ (ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი) სახეობაში გუნდური პირველი ადგილებიც დაისაკუთრეს. კარგად იასპარეზეს მათ რესპუბლიკურ პირველობებშიც.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ქარხნის დირექციას, მის დირექტორს ფელიქს ბეკოევს, რომელიც სპორტის და ახალგაზრდობის ნამდვილი ქომაგი და ყველა წამოწყების სულისჩამდგმელია. ქარხანაში ყოველწლიურად დაახლოებით 3000 მანეთი გამოიყოფა სპორტული ფორმისა და ინვენტარის შესაძენად. დირექცია სპორტული ბაზის აშენებაზეც ზრუნავს. ამ მხრივ ეს ობიექტი გამონაკლისია ოლქის სპორტულ ბაზას მოკლებულ საწარმოთა შორის. მომინანქრეებს კარგად მოწყობილი ფრენბურთის და კალათბურთის მოედნები აქვთ. ფელიქს ბეკოევის ინიციატივით ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება ჩოგბურთის კორტები. ეს იქნება ჩოგბურთის ერთადერთი ბაზა მთელს ოლქში. უკვე ყველა წინასწარი სამუშაო შესრულებულია, მშენებლობა მალე დამთავრდება.

**ლეილა სუგლიანი,**
**„ლელოს" საკ. კორესპონდენტი.**

## სოფელი ღონიერია...

## საკუთარი ძალებით

**იშვიათია**, რომ სოფელს საკუთარი სპორტდარბაზი ჰქონდეს. სოფელ ჯაფარიძის ახალგაზრდებმა კი მწვრთნელ ვაჟა ანდრიაშვილის თაოსნობით და კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ნიკო ყოჩიაშვილის მხარდაჭერით, მშვენიერი საჭიდაო ბაზაააშენეს და რამდენიმე დღის წინ საზეიმო ვითარებაში გადასცეს სოფელს...

საპატიო სტუმრებს შორის რაიონის მკვიდრნი, წარსულში ცნობილი სპორტსმენები საერთაშორისო სპორტის ოსტატები ანზორ მარტყოფლიშვილი და ოთარ ყაჭაშვილი იყვნენ. ჯაფარიძელი ჭაბუკები ახალ სარბიელზე შეხვდნენ ყვარლელ და ბოლნისელ თანატოლებს.

სოფლის საჭიდაო კლუბში უკვე ასამდე ჭაბუკი მეცადინეობს. სულ მალე გათბობის სისტემა ამუშავდება, საშხაპეები უკვე დამონტაჟებულია.

ასეთივე საჭიდაო დარბაზი არბოშიკელ ახალგაზრდებსაც ექნებათ. ქვემო ქედელები კი ფიქრობენ, რომ თავიანთი საჭიდაო კლუბის მშენებლობას მომავალ წელს დაასრულებენ.

**თენგიზ ბუზაშვილი,**
**წითელწყაროს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

## ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

### ვანი

**სტუმართა, თერჯოლელ მსროლელთა გამარჯვებით დამთავრდა რესპუბლიკური ზონალური პირველობა პნევმატური შაშხანის სროლაში, რომელიც ვანის ტირში ჩატარდა. მასპინძლები II ადგილზე გავიდნენ, ხოლო მაიაკოვსკელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. პირად პირველობაში ქალთა შორის გაიმარჯვა ლ. ნამიჭეიშვილმა (ვანი), ხოლო ვაჟთა შორის — მ. ზარნაძემ (თერჯოლა).**

### ორჯონიკიძე

ორ თვეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა შეჯიბრება ფეხბურთში რაიონის საშუალო სკოლებს შორის, რომელიც ზონების მიხედვით გაიმართა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ წყალაფორეთის საშუალო და რკინიგზის ორჯონიკიძის მე-10 საშუალო სკოლების გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 4:3 გამარჯვება წილად ხვდათ № 10 საშუალო სკოლის მოსწავლე-ფეხბურთელებს.

**გოჩა ხარატიშვილი.**

### ლაგოდეხი

**წელს აქ პირველად ტარდება რაიონული სპორტული თამაშები. განათლების განყოფილების, პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის და № 88 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდები სპორტის 7 სახეობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ახლახან თამაშების პროგრამით კიდევ ერთი შეჯიბრება მოეწყო — მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა. 516 ქულით პირველი ადგილი № 88 პროფტექნიკური სასწავლებლის ნაკრებმა დაიკავა, მეორე ადგილზე (448 ქულა) სპორტსკოლის გუნდი გავიდა, მესამეზე კი (290 ქულა) — განათლების განყოფილების ნაკრები. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების გუნდს, ამიტომ მას ნოლი ქულა ჩაეწერა. ამ ფაქტზე უახლოეს დღეებში იმსჯელებს რაიონის სპორტკომიტეტი.**

**თამაშები დასასრულს უახლოვდება, დარჩენილია ფინალური შეხვედრა ფეხბურთში. დღეისათვის კი ექვსი სახეობის შედეგების მიხედვით თამაშების ლიდერია სპორტული სკოლა.**

**ალექსანდრე პაპოშვილი.**



**„ზვეზდა" — ასე ჰქვია სამარყანდის დოსააფის საავტომობილო სასწავლებლის კლუბს. კლუბის წევრები მეცადინეობისას სრულყოფენ პრაქტიკულ ჩვევებს. ყველაზე პოპულარულია სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა მოტორბოლი და ავტორალი. სასწავლებელში ბევრი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანია.**

**სურათზე: ასეთ რთულ ტრიუკს სულ ადვილად ასრულებს სასწავლებლის აღსაზრდელი, რესპუბლიკის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი სერგეი სუპრუნი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# სეზონის მთავარი ამოცანა

თბილისი. სპორტის სასახლე. 17 დეკემბერი.

„ჟალგირისი“ (კაუნასი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 85:86 (50:49).

„ჟალგირისი“: კურტინაიტისი (20), ხომიჩუსი (17), იოვაიშა (14), ბრაზდაუსკასი (13), ეინიკისი (10), ჩივილისი (5), კრაპიკასი (4), ლეკარაუსკასი (2).

„შახტიორი“: კაჩურა (16), ლუკიანეცი (16), ერმოლინსკი (13), შევჩენკო (11), პოლოვიანოვი (10), ზავალინი (9), ივახნენკო (8), კროპაჩოვი (3), შესტოპალი.

მსაჯები: ტ. ჰასანოვი (ბაქო) და ვ. ბიჩკოვი (მოსკოვის ოლქი).

● ● ●

თბილისი. სპორტის სასახლე. 17 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 106:99 (45:50).

„დინამო“: დარსაძე (32), კაპუსტინი (20), დერიუგინი (19), ოპოშნიანი (16), ტიუბინი (12), ტალაბაძე (4), ფერიაშვილი (2), ბოროდაჩოვი (1), კოლიჩევი, ბალათურია.

„სტატიბა“: ვაინაუსკასი (26), მარჩიულიონისი (24), ბაჩიანსკასი (24), დარულისი (8), გრიგასი (8), მატკიავიჩუსი (5), კმირზა (2), იანკაუსკასი (2), დამბრაუსკასი, ვილკასი, პენიკასი.

მსაჯები: მ. ბერნატსი (ლიეპაია), ე. რესერი (სმოლენსკი).

ყოველი მოულოდნელობა სპორტში კანონზომიერების მარცვალს შეიცავს. ესე რომ არ იყოს, კალათბურთში ბევრი რამ გამოუცნობი და ამოუხსნელი იქნებოდა. თბილისის ტურის პირველსავე მატჩში „შახტიორმა“ სიურპრიზით დაგვასაჩუქრა, სიურპრიზი ჩემპიონის ნებისმიერი წარუმატებლობა, ნებისმიერი მარცხი გახლავთ, თორემ ბრძოლის შინაგანი ლოგიკით ამ დღეს გამარჯვებას „ჟალგირისზე“ ნაკლებად „შახტიორი“ როდი იმსახურებდა?

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ აზრს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ამ სეზონს თავისი ლიდერის საბონისის გარეშე ატარებს. გუნდისთვის ეს, ცხადია, დიდი დანაკლისია, მაგრამ „ჟალგირისმა“ უკვე დაამტკიცა, რომ კალათბურთში „ერთი მოთამაშის გუნდი“ მხოლოდ ლამაზი სიტყვებია და თამაშის არსს სრულებით არ გამოხატავს. გაიხსენეთ თუნდაც ამ კოლექტივის წლევანდელი სატურნირო მდგომარეობა და ჩემპიონატის სტარტზე მოპოვებული ათი გამარჯვება...

სხვათა შორის, ჩემპიონზე არანაკლები პრობლემები აქვს „შახტიორსაც“. ლიდერი (ბაბენკო) ამ გუნდსაც აკლია, მაგრამ დონეცკელმა კალათბურთელებმა უკვე კარგა ხანია მოახდინეს ძალთა გადაჯგუფება და თამაშის საერთო ნახაზი შეძლებისდაგვარად შეცვალეს კიდეც. აი ასეთ, დაახლოებით თანაბარ სიტუაციაში, „შახტიორმა“ მეტი სიმტკიცე და ხასიათი გამოავლინა.

დონეცკის გუნდი კლასით, რა თქმა უნდა, ჩამორჩება თავის ოპონენტს, მაგრამ აშკარად სუსტ ადგილს კოლექტივს ადვილად ვერ მოუნახავთ. მეტსაც გეტყვით: ზოგწინდა საკალათბურთო კომპონენტში (ბრძოლა ფარქვეშ, საშუალო და განსაკუთრებით შორი მანძილებიდან სროლები) ამ დღეს იგი სჯობდა კიდეც მეტოქეს. სწორედ ამიტომ ბრძოლა პირველიდან ბოლო წუთამდე უაღრესად მძაფრი და თანაბარი იყო.

მატჩის სტენოგრამაც სწორედ ამაზე მიგვანიშნებს: მე-5 წუთი — 15:15, მე-10 წუთი — 29:25 „ჟალგირისის“ სასარგებლოდ, მე-15 წუთი — 36:37, მე-20 წუთი 50:49, 25-ე წუთი — 57:62, 30-ე წუთი — 67:69, 35-ე წუთი — 77:80, საბოლოო ანგარიში — 85:86. არაფერი დაუჯერებელი, არაფერი განსაკუთრებული! „ჟალგირისს“ ერთგვარი, მხოლოდ მინიმალური უპირატესობა ჰქონდა პირველ ოც წუთში, სამაგიეროდ მეორეში უფრო აქტიურად, უფრო მონდომებულად და მობილურად „შახტიორმა“ ითამაშა და... პირველი სიურპრიზიც სწორედ ამის გამო მოხდა.

ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია: ჩემპიონს ტიტულის შენარჩუნება წლეულს უნდა გაუჭირდეს, თუმცა, „ჟალგირისს“ საჭიროების შემთხვევაში ძალების მობილიზების საოცარი უნარი გააჩნია, რაც არაერთხელ დაამტკიცა თავის მუდმივ კონკურენტთან მოსკოვის არმიელებთან სუპერმატჩებში. ისე კი ობიექტურობა მოითხოვს. აღვნიშნოთ, რომ „ჟალგირისმა“ ამ დღეს თავისი ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა. მეორედ ჩემპიონი ასეთ „საჩუქარს“ ალბათ არ გასცემს.

თბილისის „დინამოს“ წარუმატებლობას ბოლოსწინა ტურში ჰქონდა ობიექტური მიზეზები, რომლის შესახებ ადრევე ვიუწყებოდით (ძირითად მოთამაშეთა ტრავმები). ახლა მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა და გუნდმაც მონახა თავისი თავი. ყოველ შემთხვევაში თბილისის ტურის სასტარტო მატჩის მიხედვით ჩვენს გუნდს პრეტენზიებს ვერ წავუყენებთ.

„სტატიბასთან“ შეხვედრაში ყველა კოლექტივის (მათ შორის თბილისის „დინამოს“) წინაშე ერთი ამოცანა დგება — მარჩიულიონისის ნეიტრალიზება. ამ, უდავოდ უმაღლესი კლასის კალათბურთელის მრავალ ღირსებას შორის ერთი, განსაკუთრებით გამოკვეთილად და ყურადსაღებად მიგვაჩნია: ოსტატური, უაღრესად ზუსტი და ამოუცნობი პასებით იგი ყოველ წუთს, ყოველ წამს პარტნიორებს შეტევის დაგვირგვინების ხელსაყრელ პირობებს უქმნის.

ეს გარემოება თბილისელებმა ცხადია გაითვალისწინეს, მაგრამ მარჩიულიონისის მთლიანი ნეიტრალიზება, მოგეხსენებათ ძნელი საქმეა. ამიტომ, სავსებით სწორი იყო დარსაძის განთავისუფლება ამ მძიმე მოვალეობისაგან. სწორედ ამის შემდეგ გაუჩნდა „სტატიბას“ პრობლემები დაცვაში. დარსაძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი ორგანიზატორულ ფუნქციებს და თავისი კოლექტივის წარმატებაში ლომის წვლილი შეიტანა.



„დინამოსა“ და „სტატიბას“ მატჩის ეპიზოდი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

არ შეიძლება საგანგებოდ არ გამოვყოთ კაპუსტინის აზრიანი თამაშიც. პირველ ტაიმში იგი თითქოს ჩრდილში იყო, მაგრამ ასეთ პასიურ პოზიციაში ყოფნა მას დიდხანს არ შეუძლია. შესვენების შემდეგ მოედანზე ისევ ძველი კაპუსტინი ვიხილეთ — ქინიანი, აზარტული და, რაც მთავარია, შედეგიანი.

„დინამომ“ ამ დღეს ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოიპოვა, ამ წარმატებას კოლექტივის ყველა წევრი სჭედდა და ამიტომაც იგი ორმაგად უფრო სასიხარულოა. კარგად ვიცით, რომ წინ რთული მატჩებია ჩასატარებელი და გუნდს ერთობ საპასუხისმგებლო მისია აკისრია — ფინალურ ტურნირში მოხვედრა. ისიც კარგად გვახსოვს, როგორ ჩაატარეს თბილისელებმა კიევის ტურის შეხვედრები. ჰოდა, რეალურად თუ შევაფასებთ შესაძლებლობებს, სეზონის მთავარი ამოცანის გადაწყვეტა გუნდმა უნდა შესძლოს.

**ნოდარ გუგუშვილი.**

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში კიდევ ორი მატჩი გაიმართა: „სტატიბა“ (ვილნიუსი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 80:82 (34:45), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი) 107:100 (54:54).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 18 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 11 | 0 | 1115-906 | 22 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 11 | 10 | 1 | 1013-897 | 21 |
| რტი (მინსკი) | 11 | 6 | 5 | 908-901 | 17 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 6 | 5 | 992-1041 | 17 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 11 | 6 | 5 | 933-975 | 17 |
| ასკ (კიევი) | 11 | 5 | 6 | 965-944 | 16 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 4 | 7 | 940-951 | 15 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 11 | 4 | 7 | 894-907 | 15 |
| „კალევი“ (ტალინი) | 11 | 4 | 7 | 909-927 | 15 |
| ვეფ (რიგა) | 11 | 4 | 7 | 995-1081 | 15 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 11 | 3 | 8 | 939-986 | 14 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 11 | 3 | 8 | 869-956 | 14 |

### სხვა მატჩები

**კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ჩვენი ქვეყნის კიდევ ორ სხვა ქალაქში ტარდება.**

**კიევი.** ადგილობრივი კალათბურთელები ტურის ორ პირველ მატჩში დამარცხდნენ. „სტროიტელის“ წაგება ასე თუ ისე გასაგებია, ვინაიდან იგი წლევანდელი გათამაშების ლიდერს, მოსკოვის ცსკა-ს ხვდებოდა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს და მხოლოდ ორი ქულით დათმეს — 34:36. შესვენების შემდეგ ლიდერმა ხელთ იგდო ინიციატივა და გამარჯვებასაც მიაღწია — 88:64.

კიევის არმიელები ამ დღეს მოსკოვის დინამოელებს მასპინძლობდნენ. ბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა, გამარჯვება მინიმალური უპირატესობით მოსკოვის კალათბურთელებმა მოიპოვეს — 85:84 (49:43).

**ლენინგრადი.** თავისებური სენსაცია ამ ჯგუფშიც მოხდა. მართალია ლენინგრადის „სპარტაკი“ წლეულს მაინც და მაინც არ ბრწყინავს, მაგრამ ამ ტურზე იგი გარკვეულ იმედებს ამყარებდა. მოხდა კი პირიქით. მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა სასტარტო მატჩი უკეთ ჩაატარეს და „სპარტაკი“ მისსავე მოედანზე დაამარცხეს — 68:63 (38:37).

რიგის ვეფ-მა აშკარად დაჩაგრა ტალინის „კალევი“, თუმცა კი პირველი ტაიმი ქულით წააგო — 37:38. შეხვედრის ბედი ფაქტიურად შესვენების შემდეგ გადაწყდა. ვეფ-მა სატურნირო ცხრილში მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა — 90:79.

## ევროპის ჩემპიონატი

**განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი.**

**IV ჯგუფი**

თურქეთის ეროვნულმა ნაკრებმა იზმირში მიიღო იუგოსლავიის გუნდი და მარცხი განიცადა ანგარიშით 2:3. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს რადანოვიჩმა, კატანიჩმა და ხოჯიბეგიჩმა, ხოლო თურქთა მხრივ — იუსუფმა და ფაიაზიმ.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 19-1 | 11 |
| იუგოსლავია | 6 | 4 | 0 | 2 | 13-9 | 8 |
| ჩრ. ირლანდ. | 6 | 1 | 1 | 4 | 2-10 | 3 |
| თურქეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-16 | 2 |

**V ჯგუფი**

მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელებმა გადათამაშებაში მოუგეს კვიპროსის ნაკრებს, საბერძნეთის ფეხბურთელებს ჯგუფში წარმატების მოპოვების ყოველგვარი შანსი გადაეწურათ, ამიტომ, საკმაოდ ინერტულად ჩაატარეს მატჩი ჰოლანდიის გუნდთან (თამაში კუნძულ როდოსზე შედგა) და დამარცხდნენ — 0:3. 2 ბურთი გაიტანა კოემანმა, ერთი — გილჰაუსმა.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 6 | 2 | 0 | 15-1 | 14 |
| საბერძნეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-13 | 9 |
| უნგრეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 13-11 | 8 |
| პოლონეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-11 | 8 |
| კვიპროსი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-16 | 1 |

ამრიგად, კონტინენტის ჩემპიონატის წოდებისთვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1988 წელს იბრძოლებს 8 გუნდი: გფრ, სსრ კავშირი, იტალია, ესპანეთი, ინგლისი, ირლანდია, დანია, ჰოლანდია.

## ავსტრიელთა პროგნოზები

ავსტრიის პრესა კომენტარს უკეთებს ფეხბურთში მსოფლიოს 1990 წლის წილისყრის შედეგებს.

ავსტრიელებს მიაჩნიათ, რომ წილისყრა მათთვის უპერსპექტივო არაა, თუმცა, მათს ნაკრებს ძალების მაქსიმალური დაძაბვით მოუწევს ბრძოლა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოსახვედრად. გაზეთი „ფოლკსშტიმე“ ავსტრიის საფეხბურთო ხელმძღვანელობას აფრთხილებს, რომ მან სრული რეალობით უნდა გაუწიოს ანგარიში III ჯგუფში შექმნილ სიტუაციას, მეტოქეთა მძიმე და სუსტ მხარეებს და მოფიქრებულად, სერიოზულად მოამზადოს ეროვნული ნაკრები.

„ფოლკსშტიმე“ აღნიშნავს, რომ ავსტრიელებს ჯგუფში ორი მთავარი კონკურენტი ჰყავთ — სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები, ამიტომაც საჭიროა მთელი მონდომება, ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმების ზუსტად განხორციელება, მრავალი პრობლემის გადაჭრა. ავსტრიაში ამჟამად მრავალი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელია, სწორედ მათ უნდა დაეყრდნოს ნაკრების ხელმძღვანელობა შესარჩევი მატჩებისთვის მზადების პერიოდში.

გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ თურქეთისა და ისლანდიის გუნდებსაც საჭიროა გაეწიოს ანგარიში. კერძოდ, „პრესეს“ კორესპონდენტი ესაუბრა ისლანდიის ნაკრების მწვრთნელს ზიგი ჰელდს, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი გუნდი სულაც არ აპირებს ჩამორჩენილთა შორის იყოს; ისლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ ცნობილი ფეხბურთელები სიგურიონსონი, ედვალდსონი, გუდმუნსონი, აგრეთვე, ბელგიის, ნორვეგიისა და ინგლისის გუნდებში მოთამაშე სხვა სამი ძლიერი ფეხბურთელი.

ავსტრიის ნაკრების მეორე მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა გაზეთ „კურირის“ წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა: „მსოფლიო ჩემპიონატის III საკლასიფიკაციო ჯგუფში მთავარი ფავორიტია სსრ კავშირის ნაკრები, მეორე საგზურის მოპოვება კი ავსტრიელ ფეხბურთელთათვის სავსებით შესაძლებელი, რეალური ამოცანაა.

## უელსელთა პროტესტი

უელსის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური პროტესტი შეიტანა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრასთან დაკავშირებით.

— ჩვენ გაწბილებული ვართ მას შემდეგ, როცა გავიგეთ, რომ ევროპის ქვეყნების ორი ფინალური საგზური განაწილებულია არასპორტული პრინციპით.—განუცხადა ჟურნალისტებს უელსის ფეხბურთის ასოციაციის მდივანმა ალუნ ევანსმა.

უელსელთა ეს პროტესტი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ახალი წესით ევროპის იმ 3 შესარჩევ ჯგუფში, სადაც 4-4 გუნდია, გამარჯვებულები უშუალოდ გადიან ფინალში, მაგრამ კიდევ ორ საგზურს მიიღებენ გუნდები, რომლებსაც უკეთესი მაჩვენებლები გააჩნიათ (ქულები, გატანილი და გაშვებული გოლების უკეთესი სხვაობა, გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა).

უელსის ფეხბურთის ფედერაციას მიაჩნია, რომ ამ სიახლემ შეიძლება წინასწარ მოლაპარაკებული მატჩები გამოიწვიოს, ამიტომაც ფინალის საგზურისთვის პრეტენდენტები უშუალოდ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს დამატებით მატჩში.

## „ფლამენგო“ — მეოთხედ

ბრაზილიის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში მეოთხედ მოიპოვა რიო-დე-ჟანეიროს ცნობილმა კლუბმა „ფლამენგომ“ (1980, 1982 და 1983 წლებში ეს კლუბი უკვე ფლობდა ამ წოდებას). „ფლამენგო“ ფინალში შეხვდა პორტუ-ალეგრეს „ინტერნასიონალს“.

ფინალი ორი მატჩისგან შედგებოდა. „ფლამენგომ“ პირველი შეხვედრა მეტოქის მინდორზე ფრედ დაამთავრა — 1:1, საპასუხო მატჩს რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე 90 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ფლამენგომ“, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ გამოჩენილი ფეხბურთელები ზიკო, ანდრადე, რენატო, ბებეტო და სხვანი, ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა და კვლავ მოიპოვა ჩემპიონის წოდება. საპასუხო მატჩი მიმდინარეობდა კოკისპირულ წვიმაში.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის ჩემპიონატი ახლებური სისტემით მიმდინარეობს. შეძლებული კლუბების მოთხოვნით პირველი ლიგის შემადგენლობა 13 გუნდამდე შემცირდა, დანარჩენები მეორე ჯგუფში ჩარიცხეს, რამაც გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ახლა მოითხოვენ გაიმართოს აბსოლუტური პირველობა, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან პირველი და მეორე ლიგების გამარჯვებულები, მაგრამ პირველი ლიგის 13 გუნდი ამ წინადადების კატეგორიული წინააღმდეგია.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია ჯერჯერობით ნეიტრალურ პოზიციას იჭერს, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც მან უნდა თქვას.

## გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონებმა

16 დეკემბერს არგენტინის დედაქალაქში გაიმართა ამ ქვეყნისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში.

არგენტინის პრესამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესაა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის გამეორება, სადაც ერთმანეთს სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ: არგენტინა — გფრ.

ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის შეხვედრამ, რა თქმა უნდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. მასპინძლებს სათავეში ედგა გუნდის თავი დიეგო მარადონა, სწორედ ის იყო ამ მატჩის მთავარი მოქმედი პირი. მარადონა 55-ე წუთზე გაექცა თავის უშუალო მეურვე როლფს, მეტოქის საჯარიმო მოედანზე გვერდი აუარა 3 მცველს, გადააწოდა ბურუჩაგას და ამ უკანასკნელმაც ზუსტად დაარტყა კარში — 1:0. მსოფლიო ჩემპიონებმა ამ ანგარიშით მოიპოვეს გამარჯვება.

# დარბაზი გამოცოცხლდა

დასასრული

ძემ დასანანი მარცხი იწვნია მ. ჯუსუპოვთან ორთაბრძოლაში. სამწუხაროდ, გოჩას მხარი ვერ აუბეს მისმა თანაგუნდელებმა ხვიჩა სეთურიძემ (63,5) და პაატა მუსელიანმა (75), რომლებიც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებთან ს. კარატაევთან და ა. გუროვთან დამარცხდნენ. ქართველი გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელოდნენ საკავშირო ნაკრების წევრის, ქუთაისელი მირზა ხურციძის (63,5) გამოსვლას. მირზამ ნაკრების მწვრთნელთა იმედი გაამართლა— პირველივე რაუნდში აშკარა უპირატესობით მოუგო უნგრელ ნ. ოლახს. შეჯიბრების პირველ დღეს წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა დ. ქერიმბეკოვმა (51), ა. გეტშტეინმა (51), მ. კსენოვმა (51), ტ. ბარანოვმა (57), დ. ლეონენკომ (57), ზ. მუკაშევმა (57), მ. აგაევმა (63,5), ა. იუფეროვმა (75), ს. სარქისიანმა (75) და ს. ველიკანოვმა (75) შემდეგ ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს. გაიმარჯვა აგრეთვე კუბელმა ი. კასამაიორმა (51), რომელმაც 1 წუთსა და 25 წამში დაამარცხა საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენელი რ. კოსტილევი.

მეორე დღეს, 17 დეკემბერს, დილის პროგრამით გამართულ ორთაბრძოლებში საქართველოს ნაკრებიდან მხოლოდ ვაგიზ აბასოვი (60) მონაწილეობდა. მას ასაკის კვალობაზე საკმაოდ ტიტულიანი და გამოცდილი მეტოქე ჰყავდა მ. შაბუროვის (სსრკ) სახით. აბასოვს ცდა არ დაუკლია, თავგამოდებით იბრძოდა, ზოგიერთ ეპიზოდში (განსაკუთრებით ბრძოლის დასაწყისში) ტოლს არ უდებდა ძლიერ მეტოქეს, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა — მსაჯებმა გამარჯვება შაბუროვს მიაკუთვნეს.

მეორე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მირზა ხურციძემ. მისი მეტოქე ამჯერად სწორედ ის კარატაევი გახლდათ, რომელმაც წინა დღეს ხვიჩა სეთურიძე დაამარცხა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორთაბრძოლამ მიყუჩებული ქართველი გულშემატკივრები საგრძნობლად გამოაცოცხლა. მართალია, მაყურებელთა მხარდაჭერა არც საკავშირო ნაკრების სახელით მოასპარეზე მეორე ქართველ მოკრივეს გოჩა მუშკუდიანს აკლდა, (71 კგ), მაგრამ იგი ქულებით დამარცხდა თანაგუნდელ ა. კისილიოვთან. ამავე წონით კატეგორიაში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების წევრმა ზვიად კაკიაშვილმა კი ნამდვილად გაახარა გულშემატკივრები: ბულგარელ ბ. იორდანოვთან შეხვედრაში ქართველი სპორტსმენის უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო, მესამე რაუნდში კი მისი მეტოქე ნოკაუტში აღმოჩნდა. იმ საღამოს ნახევარფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა ჩვენი ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა: ქვემძიმეწონოსანმა დ. ავდალიანმა მოუგო ი. რაზუმოვს (სსრკ).

ალექსანდრე ჯიბლაძე.

# პირველი განაცხადები

ჩოგბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად (და უკანასკნელად) 1924 წელს შეიტანეს. 1984 წელს 60 წლის შემდეგ ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში მოეწყო ჩოგბურთელთა საჩვენებელი ტურნირი, რომელიც დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა და შვედმა სტეფან ედბერგმა მოიგეს. ახლა ჩოგბურთი კვლავ ოლიმპიური სახეობა გახდა. სეულში 64 ვაჟ და 48 ქალ ჩოგბურთელთა მონაწილეობას ვარაუდობენ.

საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ფილიპ შატრიეს ცნობით პირველი განაცხადები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სახელზე უკვე შემოვიდა. 31 დეკემბერს განაცხადების მიღება შეწყდება.

სეულის ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი უკვე ოფიციალურად გამოთქვეს: დასავლეთგერმანელებმა შტეფი გრაფმა და ბორის ბეკერმა, ჩეხებმა მიროსლავ მეჩირმა და ხანა მანდლიკოვამ, ფრანგმა ანრი ლეკონტმა და სხვებმა.

## ევროპის საკლუბო ტურნირები

# ოთხი ტურის შემდეგ

კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გაიმართა მეოთხე ტურის მატჩები. საბერძნეთის „არისმა" გფრ-ის „სატურნთან" გამარჯვების შემდეგ (107:101) ხელთ იგდო ლიდერობა. ამჯერადაც ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ნიკოს გალისი იყო (38 ქულა).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ნაშუა დენ ბოში" (ჰოლანდია)— „ორტეზი" (საფრანგეთი) 96:87, „ბარსელონა" (ესპანეთი) — „პარტიზანი" (იუგოსლავია) 84:88, „მაკაბი" (ისრაელი) — „ტრეისერი" (იტალია) 93:99.

ოთხი ტურის შემდეგ „არისს", „პარტიზანსა" და „ტრეისერს" სამსამი მოგება აქვთ. მომდევნო ადგილებზე არიან „სატურნი", „ნაშუა დენ ბოში", „მაკაბი" (ორორი გამარჯვება), „ორტეზი" (ერთი მოგება) და „ბარსელონა" (ყველა შეხვედრა წააგო).

# „დღეს სხვა ხალხი მოდის პროფესიულ კრივში"

**დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შპიგელის" კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ამერიკის ყველაზე პოპულარულ მწვრთნელს ანგელო დანდის. მას შემდეგ, რაც დანდის შეგირდმა ლეონარდმა დაამარცხა ჰაგლერი, „ნიუორკ ტაიმსმა" დანდის „კრივის მიქელანჯელო" უწოდა...**

**⊙ ამერიკაში დღეს თაყვანს სცემენ ახალ კერპს, 21 წლის მსოფლიო ჩემპიონ მაიკ ტაისონს. იგი პირველ ყოვლისა ნიჭით გამოირჩევა ისე, როგორც მუჰამედ ალი, რომელიც თქვენი შემწეობით მსოფლიო ვარსკვლავი გახდა.**

— მაიკი მართლაც ფენომენია. 40 წელია მწვრთნელად ვმუშაობ და პირველი შემთხვევაა ამგვარი აღნაგობის კაცს, ასეთი დიდი წარმატებისთვის მიეღწიოს მძიმე წონის პროფესიონალთა ასპარეზზე. სხეულის ზედა ნაწილი მას მძიმე წონის მოკრივისა აქვს, მაგრამ თვალის შევლებით საშუალო წონის



**მუჰამედ ალი (მარცხნივ) — ფრეზერის ორთაბრძოლა.**

ათლეტის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან სიმაღლით 178 სანტიმეტრია და სხვა მძიმეწონოსნებთან შედარებით ქონდრის კაცივით გამოიყურება.

**⊙ საუკეთესო წლების ალის თუ გაგონებთ რამით?**

— 15-რაუნდიან ბრძოლას ალისთან ალბათ გაუძლებდა. ალი, რა თქმა უნდა, პეპელასავით იფარფატებდა მის გარშემო, და ტაისონი მას ვერ მოიხელთებდა. რომელიმე რაუნდში კი ძლიერ დარტყმას ვერ გადაურჩებოდა. ტაისონს ადვილად მოახვედრებ დარტყმას.

**⊙ რითი ხსნით იმას, რომ თქვენს მიერ ახე ნაქებმა ტაისონმა 30 ბრძოლიდან 27 ნოკაუტით მოიგო?**

— ვინც ტაისონს ბრძოლაში აჰყვება, ძალიან გაუჭირდება. ტაისონს არაადამიანური სიძლიერის დარტყმასთან ერთად ნაკლიც აქვს ბევრი. მაგალითად, სუსტია კლინჩში, ვერც ფეხებით მუშაობს კარგად. ვიმეორებ, ტაისონს საკმაოდ ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ არავინ არ ჩანს ისეთი, ვინც ამით ისარგებლებდა.

**⊙ როგორც ჩანს, ალიმ სწორად იწინასწარმეტყველა, კრივი დაეცემა. უთქვამს, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მე თავს დავანებებ კრივს,** სპორტის ეს სახეობა დასამარდება.

— კრივი ყოველთვის იარსებებს, რადგან მასში ვლინდება ადამიანური ინსტინქტები: თავდაცვა, ბრძოლა მამაკაცისა მამაკაცის წინააღმდეგ...

**⊙ როდესაც ალი 1975 წელს მანილაში ჯო ფრეზერს შეებრძოლა, თითქმის ნახევარი მილიარდი მაყურებელი ტელეეკრანს მიეჯაჭვა.**

— ალი იშვიათი ბუნების კაცია— არა მარტო როგორც სპორტსმენი, არამედ როგორც ადამიანი. კრივის სამყარო მასზე უკეთეს რეკლამატორს ვერ ინატრებდა. იგი რინგზეც საინტერესოა და მის გარეთაც — გამრთობი, თავშემაქცევარი, ტონის მიმცემი. მაგრამ ამით ერთგვარად ავნო დღევანდელ კრივს. ალიმ გაანებივრა მსოფლიო. დიახ, მასთან შედარებით სხვები უნიათოდ გამოიყურებიან.

**⊙ სევდა ხომ არ შეგეპარებათ ხოლმე, როდესაც დღეს ერთ დროს მსოფლიო კლასის მოკრივეს ჯორჯ ფორმენს უყურებთ რინგზე? მისი ბოლო გამოსვლა უფრო იაპონური სუმოს მოჭიდავის გამოსვლას არ ჰგავდა?**

— 38 წლის ფორმენი მართლაც აღარ უნდა გამოსულიყო რინგზე, მაგრამ ასეთ მამაც ადამიანებს არასდროს უცხრებათ ბრძოლის ჟინი, ისინი უბრალოდ ვერ ელევიან კრივს. სპორტის ეს სახეობა მათთვის ნარკოტიკივითაა.

**⊙ ალბათ ამიტომ არ დაუშალეთ 40 წელს მიღწეულ ალის რინგზე გამოსვლა.**

— კარგი იქნებოდა დროზე წასულიყო რინგიდან, მაგრამ რაც უფრო ბევრი ურჩევდა დაენებებინა თავი სპორტისთვის, მით უფრო ჯიუტდებოდა. სწორად მაშინ მოვიქცეოდით, ბრძოლის გაგრძელება რომ გვერჩია. მაშინ მას ეჭვი გაუჩნდებოდა და იქნება კრივისთვის თავი დაენებებინა.

**⊙ მაინც რამ აიძულა ალი დიდხანს არ მიეტოვებინა რინგი, ფულმა?**

— არა. ფულით იგი ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო. საქმე ის არის, რომ ალის რინგზე გამოსვლა უხაროდა.

**⊙ და თქვენ უკანასკნელ რაუნდამდე მისი სეკუნდანტი იყავით.**

— რა თქმა უნდა. ყოველთვის მასთან ერთად ვიყავი და არც აქ შემეძლო მიმეტოვებინა. მაგრამ გული მტკიოდა, როდესაც ვხედავდი, რომ ადრინდელი ძალა და სისწრაფე აღარ ჰქონდა. ვუთხარი კიდეც რაც მოელოდა, მაგრამ თავისი არ დაიშალა. ეს მისი გულის წადილი იყო. განა შემეძლო მხარში არ ამოვდგომოდი ასეთ დიდებულ ადამიანს?

**⊙ მაგრამ თუ ეს მის ჯანმრთელობას არყევდა? თქვენ ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ბევრი კრივს ისე უყურებს, როგორც ტრაგიკულ წარმოდგენას.**

— ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი შეხედულება. რაც შეეხება ალის ჯანმრთელობას, იგი პარკინსონით არის დაავადებული და ჯერ არც ერთ მედიკოსს არ უთქვამს, რომ ამის მიზეზი კრივია.

რინგი ფაქტიურად ერთადერთი ასპარეზია, სადაც უფლება გაქვს ვნება მიაყენო მოწინააღმდეგეს. ჩემს შეგირდებს ვასწავლი, რომ იყვნენ უფრო მოხერხებულნი, საზრიანნი. მათ უნდა აიცილონ მოწინააღმდეგის დარტყმები და თვითონ არ აიცილონ მიზანს. მოკრივეები დიდებული ათლეტები და იშვიათი ბუნების ადამიანები არიან. კარგად იციან, რომ რინგზე ვერავინ დაეხმარებათ. ამიტომ საბრძოლო ფორმის შესანარჩუნებლად გულმოდგინედ ვარჯიშობენ და ცდილობენ განსაცდელში არ ჩაიგდონ თავი. სხვათა შორის, ტრაგედიები მხოლოდ რინგზე არ ხდება. მაგალითად, ავტომობილში რომ ვჯდებით, უკვე საფრთხეში ვიგდებთ თავს.

**⊙ ოდესმე თუ დაუწუწუნია ალის?**

— არასოდეს. ვაჟკაცურად იტანდა ყველაფერს.

**⊙ თუ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე თქვენს მოკრივეს შესვენებისას თქვენთვის განეცხადებინოს: „აღარ შემიძლია, მეშინია".**

— არა. მაგრამ თუ ვხედავ, რომ ჩემი მოკრივე მძიმე მდგომარეობაშია, პირსახოცს ვისვრი.

**⊙ თუ მოკრივე მხოლოდ დაიღალა?**

— მაშინ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მივმართავ. როცა ლეონარდი ჰაგლერის წინააღმდეგ იბრძოდა, მას წამდაუწუმ დროს ვახსენებდი: „მსოფლიო ჩემპიონობას ცხრა წუთიღა გაშორებს, ახლა ექვსი, ახლა სამი". ამან ენერგია შემატა და ლეონარდმა სძლია თერთმეტი წლის მანძილზე უძლეველ ჰაგლერს.

**⊙ გამარჯვებულს და დამარცხებულს ერთი რამ აქვთ საერთო: ისინი კვლავ რინგისკენ მიიწევენ. რატომ?**

— ჩემი აზრით, კრივის გარეშე მათ არ შეუძლიათ ცხოვრება, მოსწონთ ყურადღების ცენტრში ყოფნა, მილიონობით მაყურებლის თაყვანისცემა. თუ ეს მოაკლდათ, მათ ცხოვრებაში სიცარიელე დაისადგურებს. დარჩება მხოლოდ მოწყენილობა. ამასთან შერიგება კი ძნელია.

**⊙ ჰოლივუდს ძალიან ბევრი ისეთი ფილმი აქვს გადაღებული, რომელშიც განგსტერები ცდილობენ მოკრივეები მოქრთამონ დაახლოებით ასეთი დაპირებით: „ჩვენ ბევრს გადაგიხდით, მესამე რაუნდში თუ დაეცემი" ეს ფიქციაა თუ რეალობა?**

— ეს წმინდა წყლის ჰოლივუდისეული ვარიანტია. რა თქმა უნდა, კრიმინალი არც კრივისთვისაა უცხო, მაგრამ დღეს კონტროლიც მკაცრია და მოკრივეებიც უფრო განათლებული არიან. ზოგიერთი კოლეჯშიც სწავლობს. ასე რომ, დღეს სხვა ხალხი მოდის პროფესიულ კრივში.

თარგმნა
ვლადიმერ ფეიქრიშვილმა.





სურათებზე: მარცხნივ — ლეონარდი რაუნდებს შორის შესვენებისას; მარჯვნივ — ტაისონის და ჰაგლერის (მარცხნივ) შეხვედრის მომენტი.

# იანსენი — ევროპის ჩემპიონი

მოსკოვში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი 100-უჯრედიან შაშში. შეჯიბრებაში ევროპის 14 უძლიერესი მოშაშე მონაწილეობდა.

ევროპის ჩემპიონის სახელი 11,5 ქულით მოიპოვა 23 წლის ჰოლანდიელმა დიდოსტატმა გერარდ იანსენმა. 11 ქულით II ადგილზე გავიდა ხარკოველი ვადიმ ვირნი. ჯერჯერობით უცნობია III ადგილის მფლობელი, რადგან რობ კლერკმა და ჰენდრიკ ვან დერ ზეემ (ორივე — ჰოლანდია) არა მარტო თანაბარი (10,5-10,5) ქულები მოაგროვეს, არამედ მათ დამატებითი მაჩვენებლებიც თანაბარი აღმოაჩნდათ. ამიტომ ისინი დამატებით მატჩს გამართავენ ჰოლანდიაში.

## „სპორტპროგნოზი"

**49-ე ტირაჟის შედეგები (5-6 დეკემბერი)**

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 49-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 5-6 დეკემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 5.018.719 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (12) მოგებამ შეადგინა 6.273 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (374) — 402 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (5.150) — 102 მანეთი.

49-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 31 დეკემბრიდან 1988 წლის 31 იანვრამდე.

• • •

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" საჭადრაკო ტირაჟის შედეგები (7-19 პარტიები).

ტირაჟში დაშვებულია 885.337 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (61) მოგებამ შეადგინა 217 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.299) — 20 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (19.701) — 4 მანეთი.

საჭადრაკო ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 31 დეკემბრიდან 1988 წლის 31 იანვრამდე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-56,
ხაზღვენი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07278